საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-11/83

ქ. ბათუმი 14----დეკემბერი, 2016 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01-11/80 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის უფროსის ზვიად ბერაძის 2016 წლის 12 დეკემბრის MES 8 16 01480603 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01-11/80 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 3. კონკურსატმა 2016 წლის 5 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) CV;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად ან დიპლომის ასლი (კურსდამთავრებულთათვის);

დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);

ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).“

ბ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. 2016 წლის 20-21 დეკემბერს, გასაუბრების საფუძველზე შეირჩეს 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დღის პირველ და მეორე ნახევარში სამუშაოდ).“

2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს სტუდენტის პირად საქმეში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №32) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**